



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 169

ქალაქი ქუთაისი 29 მარტი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში
ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ადგილობრივი
საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M₂ და M₃ კატეგორიების
ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის
ტარიფის განსაზღვრის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 მარტის №112 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-2 მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M₂ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის ზედა ზღვარი განისაზღვროს 0,5 ლარით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M₃ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის ზედა ზღვარი განისაზღვროს 0,4 ლარით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 7 აპრილიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

ნიკოლოზ ლატარია